ხელშეკრულება №92

კასპი 13.12. 2016 წელი

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება, შემდგომში „დამქირავებლად" წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის, მანანა ხვთისიაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს დებულების საფუძველზე ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ფ/პ ზაქარია დათაშვილი პ/ნ 24001012130 შემდგომში „შემსრულებლად" წოდებული ზაქარია დათაშვილის სახით, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ფ/პ ზაქარია დათაშვილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში" შემავალ სადგურ მეტეხის საბავშვო ბაღს მოემსახუროს საკუთარი მიკრო ავტობუსით (ESE 538 მერსედეს-ბენც210D) საწვავისა და ყველა ხარჯის გათვალისწინებით შეასრულოს შემდეგი მომსახურება: ყოველ სამუშაო დღეს 9 საათზე გამოცხადდეს ტრანსპორტით სადგურ მეტეხის საბავშვო ბაღის შენობასთან, წამოიყვანოს საბავშვო ბაღის თანამშრომლები და აღსაზრდელები კასპის #1 საბავშვო ბაღში ,რომელიც მდებარეობს წერეთლის #6 -ში და აღნიშნული მისამართიდან 17 საათზე დააბრუნოს მგზავრები სადგურ მეტეხში.

2. შესრულებული სამუშაოს ვადები და ღირებულება

2.1. მომსახურეობა ხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2.2. მთლიანი ღირებულება შეადგენს 288 (ორას ოთხმოცდარვა)ლარს.

2.3 დღიური მომსახურების ღირებულება შეადგენს 32 (ოცდათორმეტი) ლარს.

2.3. მომსახურება განხორციელდება ყოველ სამუშაო დღეს და მძღოლს ანაზღაურება მიეცემა ყოველდღიური შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

2.4 საავტომობილო მომსახურეობის გაწევის ვადაა ხელმოწერის დრიდან 2016 წლის 26 დეკემბრამდე

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.2 ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარი) გადარიცხვით

3.3 ანგარიშსწორება წარმოებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მითითებული რვანიშნა კოდით: 60100000 (60170000)

3.4 შესრულებლი სამუშაოს ანაზღურება მოხდება პირადი განცხადების,შესრულებული სამუშაოსა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელიც დასტურდება ორივე მხარის ხელმოწერით.

3.4 დამქირავებელს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოახდინოს ანგარიშსწორება ნაწილობრივ.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „დამქირავებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2. გადაუხადოს შემსრულებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

4.3. „შემსრულებელს " უფლება აქვს:

4.4. მოსთხოვოს „დამქირავებელს " შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულებით შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1.ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

6.2. გამოვლენილი ნაკლის ან დეფექტის შესახებ დამკვეთი დაუყოვნებლივ აცნობებს შემსრულებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

6.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის შემთხვევაში ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 15 თებერვლამდე.

8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10. დავათა განხილვის წესი.

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

„დამქირავებელი“

„კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი
აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება;
მისამართი: კასპი, საკაძის ქ. №68
ს/კ 232559781

დირექტორი: მანანა ხვთისიაშვილი

„შემსრულებელი“
ფ/პ „ზაქარია დათაშვილი“
მისამართი; კასპი, სოფელი მეტეხი
საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 24001012130

ზაქარია დათაშვილი